იორის ღამე

მთვარე შრიალებს ფიჭვივით
დაუსრულებელ ოხვრაში,
ამოდის კოხტა ბიჭივით
ცისკარი ახალ ჩოხაში.

ეს მთვარე ვიღამ შეკერა,
ვინ არის მისი მკერავი?
ეს გული ვიღამ დასხლიტა,
ბურთივით გაუთქერავი?

შენ დამარწიე, იორო.
მაჩქეფე თავზე მირონი;
დალაგდნენ ლექსის ჯიქნებად
ეგ შენი სანაპირონი დ

შენი ჩანჩქრები, საწური
აბრეშუმისა ბადითა,
შენს ვენახებში სუფრები
ჩონგურითა და მწვადითა;

შენი ბდღვრიალა კალმახი,
აცვია თითქოს ჩითები;
დილა, რომელსაც ნისკარტით
ეზიდებიან ჩიტები...

და უწმინდესი ტაძარი,
არხზე წისქვილი პატარა;
შენმა ტინებმა სიმაგრე
ლექსებში გამომატანა!

შენი ფშანების ნაჟუ რი
ლექსში სჩქეფს, როგორც მაჭარი,
თუ ამოგხაპეს, გაგყიდეს,

გავხდები შენი ვაჭარი!

მთვარე შრიალებს ფიჭვივით,
დაუსრულებილ ოხვრაში;
ამოდის კოხტა ბიჭივით
ცისკარი ახალ ჩოხაში...

მთვარე გომბორზე წაიქცა, -
რძით გავსებული ტაგანი...
იორზე ვმღერი წნორებთან,
ერთი იმ წნორებთაგანი!